აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ჩვენი იუბილარი



80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ გეოგრაფს, კლიმატოლოგს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს სახელმწიფო და მიხეილ ნოდიას სახელობის აკადემიური პრემიების ლაურეატს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ელიზბარ ელიზბარაშვილს.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაიბადა 1946 წლის 28 ნოემბერს ქალაქ თელავში. 1953 წელს იგი შეიყვანეს თელავის რუსულ საშუალო სკოლაში. სკოლა იმ პერიოდისთვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საგანმანათლებლო დაწესებულებად მიიჩნეოდა თელავში. აქ სწავლობდნენ თელავის გამორჩეული ინტელიგენციის, სახელმწიფო მოხელეების, აგრეთვე ქალაქში განთავსებული სამხედრო ლეგიონის სარდლობის წარმომადგენელთა შვილები. სკოლა გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური დონითა და ძლიერი პედაგოგიური კოლექტივით, რომელიც იმდროინდელ თელავის სკოლებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. სწორედ ასეთმა საგანმანათლებლო გარემომ ჩამოუყალიბა ბატონ ელიზბარს განსაკუთრებული ინტერესი სწავლისადმი, განსაკუთრებით კი ფიზიკისა და მათემატიკის მიმართ, რამაც არსებითად განსაზღვრა მისი მომავალი პროფესიული არჩევანი. ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში იგი ფიზიკის ოლიმპიადების გამარჯვებული იყო, რაც მის გამორჩეულ ნიჭსა და ზუსტ მეცნიერებათა მიმართ განსაკუთრებულ ინტერესზე მიუთითებდა. ეს წარმატება მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა მისი შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის.

სკოლა 1963 წელს წარჩინებით, მედალზე დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, სადაც აღმოჩნდა გამოჩენილი მეცნიერების გარემოცვაში. ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები: მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, გივი ხუციშვილი, ვლადიმერ ჭელიძე; პროფესორები ელიზბარ წითლანაძე, დავით კვესელავა, ალეკო იშხნელი და სხვები. სპე-

ციალურ საგნებში მის პედაგოგებს შორის იყვნენ გეოფიზიკური მეცნიერებების ფუძემდებელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოფიზიკის კათედრის დამაარსებელი პროფესორი მიხეილ ნოდია, გამოჩენილი მეტეოროლოგი, უნივერსიტეტის მეტეოროლოგიური სადგურის დამაარსებელი პროფესორი იოსებ ქურდიანი, აგრეთვე პროფესორები მიხეილ ჩხეტია, გრიგოლ მანაგაძე და ზურაბ ხვედელიძე. იმ პერიოდში უნივერსიტეტის რექტორი იყო აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ მისი დამაარსებლები და გამოჩენილი მეცნიერები — აკადემიკოსები აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი და სხვები. ამ გარემომ და გამოჩენილ მეცნიერთა უშუალო სიახლოვემ მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მისი სამეცნიერო ინტერესებისა და პროფესიული გზის ჩამოყალიბებაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის მესამე კურსზე, პროფესორ მიხეილ ჩხეტიას რეკომენდაციით, ბატონი ელიზბარ ელიზბარაშვილი უნივერსიტეტის მეტეოროლოგიურ სადგურში ნახევარ განაკვეთზე დამკვირვებლად მიიღეს. რამდენიმე თვის შემდეგ იგი გეოფიზიკის კათედრაზე ლაბორანტის თანამდებობაზე დანიშნეს, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იმავე კათედრაზე უფროს ლაბორანტად გადაიყვანეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების დროისთვის ბატონი ელიზბარი უკვე მუშაობდა უნივერსიტეტის გეოფიზიკის კათედრაზე უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე. მის მოვალეობაში შედიოდა უნივერსიტეტის მეტეოროლოგიურ სადგურში მეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოება, აგრეთვე ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება.

იმ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომელმაც მანამდე დააარსა და დიდი სახელი მოუხვეჭა ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ილია ვეკუამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად შექმნილი მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრის გამგედ მოიწვია პროფესორი გიორგი სულაქველიძე, რომელიც მანამდე ხელმძღვანელობდა ქალაქ ნალჩიკში მისივე დაარსებულ მაღალმთიან გეოფიზიკის ინსტიტუტს. სწორედ გიორგი სულაქველიძის ხელმძღვანელობით შეასრულა ელიზბარ ელიზბარაშვილმა ასპირანტურაში საკანდიდატო დისერტაცია და 1975 წლის 27 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა თემა — „საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადი კლიმატური მახასიათებლების სივრცე-დროითი განაწილების თავისებურებანი“, რის საფუძველზეც მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს ელიზბარ ელიზბარაშვილი აირჩიეს ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრის ასისტენტად და მიიწვიეს სალექციო კურსების წასაკითხად ატმოსფეროს ფიზიკასა და სინოპტიკურ მეტეოროლოგიაში. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მისი პედაგოგიური საქმიანობა.

იმ დროს საქართველოში ერთ-ერთ წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს წარმოადგენდა ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულება იყო და გასული საუკუნის 20-იან წლებში დაარსდა. ინსტიტუტის ფილიალები

ფუნქციონირებდა სოხუმში, ბათუმში, წყალტუბოსა და ბორჯომში, ხოლო მისი სამეცნიერო საქმიანობა და მიღწევები ფართოდ იყო აღიარებული როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ინსტიტუტი მრავალპროფილიანი ხასიათის იყო და იკვლევდა საკითხთა ფართო სპექტრს — ჰიდროგეოლოგიური და კლიმატოლოგიური პრობლემებიდან დაწყებული, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის აქტუალურ საკითხებამდე. კლიმატოლოგიურ კვლევებს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი კლიმატოლოგი გიორგი ჭირაქაძე, რომელიც 1978 წელს გარდაიცვალა. აღნიშნული დანაკლისის შესავსებად, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა გიორგი უშვერიძემ, ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, კლიმატოლოგის პოზიციაზე, მიიწვია ელიზბარ ელიზბარაშვილი. 1980 წელს იგი იმავე ინსტიტუტის სამედიცინო კლიმატოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად აირჩიეს. მისი ხელმძღვანელობით კომპლექსური კლიმატური კვლევები ჩატარდა საქართველოს მრავალ კურორტსა და რეგიონში, მათ შორის ურეკი–შეკვეთილის საკურორტო ზონაში, ბორჯომის ჯგუფის კურორტებზე, აჭარაში, არაგვის ხეობაში, კახეთში და სხვა ტერიტორიებზე. სწორედ ამ კვლევებმა წარმოაჩინა ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის მნიშვნელობა, რაც საფუძვლად დაედო მის განვითარებას. აღნიშნული კვლევების შედეგები აისახა მის მონოგრაფიაში საქართველოს კურორტების კლიმატოგრაფიის შესახებ, აგრეთვე მრავალრიცხოვან ბროშურებში. ათი წლის განმავლობაში ჩატარებული საკურორტო რესურსების კვლევის შედეგები განზოგადდა ფუნდამენტურ ატლასში — „საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები“, რომელიც 1989 წელს მოსკოვში გამოიცა. ატლასის კლიმატური რესურსების რუკები შესრულდა ბატონი ელიზბარის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ნაშრომისთვის მის ავტორებს, მათ შორის ელიზბარ ელიზბარაშვილს, მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო პრემია.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ელიზბარ ელიზბარაშვილი მონაწილეობდა უნიკალური პროექტის — მზიურის — შექმნაში. მან შეიმუშავა პროექტის კლიმატური დასაბუთება, რაც მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა აღნიშნული სივრცის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. ბატონი ელიზბარის თქმით, „ეს იყო მომავლის შესანიშნავი საბავშვო ქალაქი, რომელიც ვერეს ხეობაში, გმირთა მოედნიდან ბეთანიამდე ვრცელდებოდა.“

სწორედ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეასრულა ელიზბარ ელიზბარაშვილმა სადოქტორო დისერტაცია. დისერტაცია სრულდებოდა იუნესკოს ორი პროგრამის — „ალპები–კავკასია“ და „ადამიანი და ბიოსფერო“ — ფარგლებში. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები: ი. გერასიმოვი, გ. მარჩუკი, მ. ბუდიკო, მ. გოლიცინი, კ. კონდრატიევი, ვ. კოტლიაკოვი, პროფესორები ი. მაშბიცი, ა. კრენკე და სხვები. საქართველოდან პროგრამების კურატორი იყო პროფესორი ემილ კობახიძე. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ბატონმა ელიზბარმა დაამყარა სამეცნიერო კავშირები მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ცენტრებთან — ა. ვოეიკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიასა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტთან. დისერტაციის ძირითადი შედეგები ქვეყნდებოდა წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, რის გამოც საერთაშორისო გეოგრაფიული საზოგადოება კარგად იყო ინფორმირებული მისი

კვლევებისა და სამეცნიერო მიღწევების შესახებ.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა 1990 წლის 16 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე — „სითბოსა და ტენის კლიმატურ მახასიათებლებზე მთის რელიეფის გავლენის მათემატიკურ-კარტოგრაფიული მოდელირება“. სადისერტაციო საბჭომ დისერტაცია მაღალი შეფასებით მიიღო. ნაშრომის შესახებ დადებითი რეცენზიები წარმოადგინეს პროფესორებმა: ო. დროზდოვმა — ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლიმატოლოგიის კათედრის გამგემ; ნ. კობიშევამ — ა. ვოეიკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიას კლიმატოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა; და მ. პეტროსიანცმა — მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრის გამგემ. დისერტაციის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა დასტურდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულების დასკვნებითა და რეკომენდაციებით. მათ შორის იყვნენ საქართველოს მინისტრთა საბჭო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო სამშენებლო ინსტიტუტი, რესპუბლიკური სამშენებლო გაერთიანება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ. აღნიშნულ ორგანიზაციებში დისერტაციის შედეგები დანერგილი და შეტანილი იქნა სხვადასხვა პრაქტიკულ სამუშაოებში, სამეცნიერო და სახელმძღვანელო ხასიათის ნაშრომებში, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს ელიზბარ ელიზბარაშვილის კვლევების მაღალ სამეცნიერო და გამოყენებით მნიშვნელობას.

1994 წელს აკადემიკოსმა გივი სვანიძემ ელიზბარ ელიზბარაშვილი მიიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე. 2001–2005 წლებში იგი იყო ინსტიტუტის კლიმატის მოდელირების ლაბორატორიისა და ზოგადი კლიმატოლოგიის სექტორის გამგე, 2005–2006 წლებში — მეტეოროლოგიის განყოფილების გამგე, ხოლო 2006 წლიდან 2024 წლამდე ხელმძღვანელობდა კლიმატოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის განყოფილებას. ბატონი ელიზბარაშვილის შეფასებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც მისი ინიციატივით დაიგეგმა და თანახელმძღვანელობით განხორციელდა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, იყო „საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი“. ატლასი მოიცავს 112 რუკას და ასახავს საქართველოს კლიმატურ და აგროკლიმატურ რესურსებს, კლიმატის ცვლილებასა და ჰიდროლოგიურ თავისებურებებს. ე.ელიზბარაშვილის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წამოწყება ინსტიტუტში იყო საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების სისტემური კვლევა, რომელიც 2000 წლიდან დაიწყო და დღესაც გრელდება. ჩატარებული კვლევების შედეგები ქვეყნდება სერიის სახით — „საქართველოს ჰავა“. აღნიშნული სერიით დღემდე უკვე გამოცემულია 10 ტომი.

1985 წლიდან ელიზბარ ელიზბარაშვილი აკადემიურ თანამდებობას იკავებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ინიციატივითა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით საქართველოში პირველად გაიხსნა გეოგ-

რაფია-ეკოლოგიის სპეციალობა. 1991 წლიდან, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, ბატონი ელიზბარაშვილი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე აირჩიეს. 1995 წელს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიას აკადემიკოსად არჩევის შემდეგ, მან დააარსა აკადემიის კახეთის რეგიონული განყოფილება და თავადვე ჩაუდგა მას სათავეში. 2004 წლიდან იგი არის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის გამგე და მიმართულების ხელმძღვანელი, ხოლო 2007–2017 წლებში არჩეული იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად. 2013 წლის გაზაფხულიდან ნოემბრამდე ელიზბარ ელიზბარაშვილი ასრულებდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას.

უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმის შემდეგ ელიზბარ ელიზბარაშვილი იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა ორ საბაკალავრო პროგრამას — გეოგრაფიასა და ეკოლოგიას; ორ სამაგისტრო პროგრამას — მეტეოროლოგიას, კლიმატოლოგიასა და ეკოლოგიას; აგრეთვე ორ სადოქტორო პროგრამას მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ეკოლოგიის მიმართულებით. რეფორმის საწყის ეტაპზე გეოგრაფიის მიმართულების სამივე საფეხურზე სასწავლო სილაბუსების უმრავლესობა სწორედ მისი მომზადებული იყო. ახალი პროგრამების ფარგლებში მან დანერგა არაერთი ახალი სასწავლო კურსი, მათ შორის: გეოგრაფიული მოდელირება, გლობალური ეკოლოგია, ეკოლოგიური პროგნოზირება (ბაკალავრიატში), კლიმატის ცვლილება, ატმოსფეროზე ანთროპოგენული ზემოქმედება (მაგისტრატურაში) და სხვა. აღნიშნულ დისციპლინებთან დაკავშირებით მან შეადგინა დამხმარე სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები. 2008–2015 წლებში ბატონი ელიზბარაშვილი ხელმძღვანელობდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, ხოლო 2015–2018 წლებში ამავე საბჭოს სწავლული მდივანი იყო.

ელიზბარ ელიზბარაშვილის მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის შედეგად, მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები საქართველოში მხოლოდ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა. სწორედ ამ პროგრამების საფუძველზე აღიზარდა გეოგრაფიის არაერთი დოქტორი, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საწარმოო დაწესებულებაში, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გარემოს ეროვნული სააგენტოში, საწარმოო გაერთიანება „დელტა“ში, აგრეთვე კანადასა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებში. 2018 წელს საქართველოს უნივერსიტეტებს შორის პირველი ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური, ელიზბარ ელიზბარაშვილის დიდი ავტორიტეტისა და ინიციატივის საფუძველზე, სწორედ თელავის უნივერსიტეტში დაამონტაჟა გარემოს ეროვნულმა სააგენტომ.

ელიზბარ ელიზბარაშვილი წარმოადგენს ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ მეცნიერ-გეოგრაფს საქართველოში. იგი ავტორია 260-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ატლასებისა და მონოგრაფიების. ბატონი ელიზბარის

მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები წარმოდგენილი იქნა მრავალ საერთაშორისო ფორუმზე, მათ შორის საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ბულგარეთში, თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვა ქვეყნებში. შრომათა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია მსოფლიოს ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. მისი კვლევების საფუძველზე შესწავლილია მთის ჰავის ჩამოყალიბების მექანიზმის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ასევე გამოვლენილია საქართველოს კლიმატური, მათ შორის საკურორტო და ენერგეტიკული რესურსების თავისებურებები, აგრეთვე გლობალური დათბობის პირობებში კავკასიის კლიმატის ცვლილების ძირითადი ტენდენციები. ელიზბარ ელიზბარაშვილი არის ახალი სამეცნიერო მიმართულების — ლანდშაფტების კლიმატოლოგიის — შექმნისა და განვითარების ავტორი. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 2 მეცნიერებათა დოქტორი, 10 მეცნიერებათა კანდიდატი და 11 აკადემიური დოქტორი.

ელიზბარ ელიზბარაშვილი 1995 წლიდან არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიას აკადემიკოსი, 2003 წლიდან — აშშ ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, 2005 წლიდან იგი არის მსოფლიო ბანკის ექსპერტი ჰიდრომეტეოროლოგიის დარგში და 2021 წლიდან — ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის (EGU)ს წევრი.

ელიზბარ ელიზბარაშვილი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელ კომისიების წევრი.

იგი მონაწილეობს მრავალი საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო ჟურნალის გამოცემაში, მათ შორის არის საერთაშორისო ჟურნალის *European Geographical Studies*-ის მთავარი რედაქტორის მოადგილე, „ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომების“ კრებულის მთავარი რედაქტორის მოადგილე, ბულგარეთში გამოცემული საერთაშორისო ჟურნალის *Ecology & Safety*-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.

მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ელიზბარ ელიზბარაშვილი 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

1993 წელს ატლასისათვის "საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები" მას თანაავტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების და ტექნიკის დარგში, ხოლო 2025 წელს შრომათა ციკლისათვის "ბუნებრივი საშიშროებები საქართველოში : პარამეტრული კატალოგების შედგენა და კანონზომიერებების გამოკვლევა" შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მიენიჭა მიხეილ ნოდიას სახელობის აკადემიური პრემია.

ვულოცავთ ბატონ ელიზბარს სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია